ტარტაროზი

№ 3

მავნებლებმა მოაწყვეს აშკარად უვარგისი კონსერვების წარმოება. მათ უნდოდათ ყვავის ხორცით ეკვებათ საბჭოთა კავშირის გმირული პროლეტარიატი, მაგრამ პროლეტარული ძალა - უფლების ულმობელი ხელი დროზე მისწვდა მათ.

(გაზეთებიდან)

12 578

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

„ძმა--ძმის მტერი“

ყვავი (მავნებელს): — დაუშვი ლულა!.. რას მერჩი, რატომ მკლავ შენს თვისტომს ძმობილო; ხომ უყურებ, ქვეყანამ გაიგო, რომ შენც „ჩემი ძმა და პირის ზიარება“, — ჩემისთანა ყვავი ყოფილხარ...

„კ უ დ ე ბ ი“

— ამხანაგებო! პარტია ია ხელისუფლება უაღრეს ყურადღებას აქცევს სურსათ-სანოვაგის დამამზადებელ და განმანაწილებელ აპარატების გაუმჯობესებას... მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ადგილებში ჯერ კიდევ ვერ ველირსეთ „კუდების“ მოსპობას... „კუდები“ არის იმ პროდუქტებზედაც, რომლებიც „თავზე საყრელად“ გვაქვს. ეს მოვლენა უმთავრესად ზოგიერთ ხელმძღვანელ ბიუროკრატების მავნებლური მოქმედებით არის გამოწვეული. ამხანაგებო! საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება; საჭიროა ვამხილოთ ყველა ისინი, რომლებიც მუშათა მომარაგების საქმეს ხელს უშლიან! — დაასრულა თავის სიტყვა სახელმწიფო ვაჭრობის ერთ-ერთ დაწესებულების გამგემ ივანე კუჭაძემ ხსენებულ დაწესებულების მუშა-მოსამსახურთა საერთო კრებაზე. ვანოს უკანასკნელი სიტყვა ტაშის გრიალმა დაჰფარა.

იმ ღამეს ვანო კუჭაძე სტუმრათ გახლდათ სასურსათო მაღაზიის გამგის სერგო თავისიანებაშვილის ოჯახში. ვანოს სტუმრობას სერგო დიდი ხანია მოელოდა. დღეს კი სურვილი ასრულებოდა და სერგოც „ქართველური ხელგაშლილობით“ უმასპინძლდებოდა თავის ძვირფას სტუმარს.

პირველად ვანო ადეგრძელეს.

— ბატონებო! დღეს ჩემი ოჯახი უბედნიერესია მით, რომ ამისრულდა დიდი ხნის სურვილი და ჩემს ოჯახს ესტუმრა ჩვენი ძვირფასი ვანო, თითქმის ერთი წელიწადია, რაც ამხანაგი ვანო ჩემი უფროსი გახლავთ და ჩემსას მხოლოდ პირველად არის დღეს. ეს აიხსნება მით, რომ მე რამდენიმე თვე უდანაშაულოდ ვიჯექი გამასახლში. კიდევ კარგი, რომ ვანოს დახმარება მქონდა თორემ, ვინ იცის, იქნებ დღესაც არ ვყოფილიყავ თქვენ შორის. ბატონებო! ამხანაგი ვანო სახელმწიფო ვაჭრობის „სული და გულია“. დღეს, მაგალითად მომარაგების კამპანია ტარდება. გეკითხებით თქვენ; ვანო რომ არ გვყავდეს, განა ამ საქმეში რამე გაკეთდება?

მაშ, გაუმარჯოს ამხანაგ ვანო კუჭიძეს!—მასპინძლის ეს უკანასკნელი სიტყვები დაიფარა ხანგრძლივი ტაშის ცემით, რომელსაც მოაყოლეს „მრავალჟამიერ“.

მეორე დღეს დილით იმ მაღაზიის წინ, რომლის გამგეთ სერგო თავისიანებაშვილი იყო, ხალხი რიგში ჩამდგარიყო და გრძელი „კუდი“ გაეჩინათ.

— ამდენი ხანია აქ ვდგეგართ და ჩვენი რიგი კიდევ არ სჩანს.

— სანამ ჩვენ რამეს მივიღებდეთ, მაღაზიას დაკეტავენ.

— დღეს თუ ვერაფერი მივიღეთ ერთ კვირას მოგვიწევს ლოდინი.

—ჩვენი მაღაზიის გამგე თუ გვეყოლა, ერთ თვესაც კი მოგვიწევს ცდა.

— გაფლანგვისათვის დაჭერილი იყო და ეხლა სამსახურში აღუდგენიათ.

— ალბად „ბებიები“ ეხმარებოდენ.

— „ბებიები“ არ ვიცი და ვანო კუჭაძე რომ ეხმარებოდა ეს ყველამ იცის.

ეი რა ისმოდა რიგში მდგომ ხალხში და „კუდი“ თანდათანობით გრძელდებოდა.

— მოქალაქენო! მაღაზიაში დღეს საქონელი მეტი აღარ არის. ერთი კვირის შემდეგ ისევ მივიღებთ. ეხლა კი მიბრძანდით! — ხმამაღლა გადასძახა ხალხს მაღაზიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

უკმაყოფილო ხალხი დაიშალა.

მაღაზიის წინ „კუდი“ აღარ სჩანდა. მაღაზიიდან კი ორი პატარა „კუდი“ მოსჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ უკანა კარებიდან ქუჩაში გამოდიოდენ სერგოს და ვანოს ცოლები, შვილები, მოყვრები და ნათესავები, მათ სახეებზე სიამოვნების ელფერი ქონდათ აღბეჭდილი.

ცხადია, ისინი ხელ ცარელი სახლში არ ბრუნდებოდენ.

ყუმბარა.

მავნებლები

მავნე დღეს ჩვენთვის დიდი მტერია,
მტერი ისეთი ჩვენ სხვა არა გვყავს.
დახვრეტა მათთვის—არაფერია!
სასჯელს მოვსძებნით სიკვდილზე მაღალს!

ბრიანი

„პან-ევროპისთვის“ მან ძოიცალა, —
საბჭოთა კავშირს უპირდაპირებს,
შეინარჩუნოს სურს თავის ქალა, —
გამოლაშქრებას ჩვენსკენ აპირებს.

ზერმანიის ფაშისტები

ხედავთ?—გახსნიათ გერმანიის ფაშისტებს მადა.
და ამზადებენ სახელმწიფოს ხელში ჩაგდებას,
მოიახლოვონ ამ მიზნისთვის მათ უნდა ვადა,
მაგრამ მანამ იქ ჩვენი ცეცხლიც ავარვარდება

ქიშვარდი.

მაკდონალდი

ბისკვიტის ჭამა გიყვარდა,
კვლავ გეყვარება, ცხადია,
„მემკვიდრის“ გახდი გამდელი
მისი ძიძა და გადია.

ჩემბერლენ უკრავს დუდუკზე
შენ დგები ფეხის ცერებზე.

ლაფი დაგასხა პორთფელმა
„სოციალისტურ“ წვერებზე.

ჩანკაიში

თქმულებაა ძველებური;
„არ ეკიდა კარი კარსა“,
ხავს ჩაჭკიდე ხელები და
„აეკიდე მკვდარი მკვდარსა“.

ხეიბარი შეიქენი,
თეთრებიდან ითხოვ შველას,
ბედის ჩარხი უკან ბრუნავს,
ველარ იმღერ „ნანა-ჩელას“.
ვერ გამოდეგ, სჩანს, ჩინეთი!
„საუცხოვო მზარეული,
კოვზი ნაცარს ჩაგივარდა
დავთრები გაქვს არეული.

კოლტი.

ავეჯეულობის ტრესტი მეტად ძვირათ ყიდის საქონელს, რომელიც მდარე მასალებიდანაა გაკეთებული.
(გაზეთებიდან)



— უი, ქაა! რათა სწერია ხელს ნუ ახლებთო?
— იმიტომ, რომ ხუთასი მანეთი ღირს და ყიდვას მაინც ვერ შეიძლებო.

ყლაპუტა ჩანჩალაძის მონოლოგი

ჰაუ, შეჩერდით!
მოიცადეთ!
საით გარბიხართ?
შესდექით! ხედავთ, — ამივარდა გულის ფრიალი.
ცნობიერება მეკარგება:
თვალთ მიბნელდება.
სულს ველარ ვითქვამ
მომეშველეთ! ახ ჩემი ბრალი

ცოტა შესდექით!
მოითმინეთ მოქალაქენო!
ლუპავთ ქვეყანას!
შეანელეთ ჩქარა ტემპები!...
ზომიერება, ხალხო, — ოქროს ზომიერე.
თორემ ფრენის დროს მტრის
მახეში ჩვენ გავებმებით,

რა საჭიროა ეს ქარხნები,
ეს ინდუსტრია, —
საყვირთა ცემა, როგორც დრენა
დაჭრილი მხეცის?!
სულთქმას მიმძიმებს, როცა ვხედავ
ქარხნების კომლით
რომ იბოლება კაბადონი კრიალა ზეცის.

უკელით ნაბიჯს!
ეს ტემპები მუხლს მიკვეთავენ!
ვერც ვივლი, ვერა!
ამ ტემპებმა მომიკლა გული.
უკელით ნაბიჯს,
შეანელეთ ტემპები ჩქარა,
თორემ ტემპებმა შემიხუთა, დამიხშო სული
რაო?
დამცინით?!
მე ჩამოვრჩი, მე — ჩანჩალაძე?!
ტემპებმა მიქნეს....
როგორ მატკბობს ეს ჩამორჩენა.
ჩამორჩით ხალხო!
თქვენც ჩამორჩით, როგორც მე ვრჩები!
ჩამოურჩენლად არ იქნება ჩემი მორჩენა,

მძიმე ტვირთია ეს ტემპები:
„ხუთწლედი ოთხში!"
რა საჭიროა სოცშეჯიბრი და დამკვრელობა?
ეს ყველაფერი გულს მიშფოთებს
და გრძნობას მიკლავს,
ეს არის გიჟურ მიზნებისათვის აწმყოს მკვლელობა

შეხედეთ ჩიტებს, ჩიორებს, ცაში მფრინავებს! —
არც ერთ იმათგანს, საწარმოო გეგმა არ აქვთ,
ფინანსებზე ხომ წარმოდგენაც არ შეუძლიათ,
და მაინც ცაში მხიარული ჟივილი გააქვთ.

რა სასმოა უდარდელი მათი ჟღურტული...
მე კი ყურები ლოზუნგით მაქვს გამონაჭედი...
ჰაუ! შეჩერდით...
შეანელეთ ტემპი!..
ვთავდები...,
მი-შვე-ლე-ე-ე-თ,
ჩქარა ცივი ტილო..
გავთავდი დედი....

მ—ზა.

„დაბადება“ ანუ „ბიბლია“

ნაწილი მეოთხე

თავი მეცამეტე

არ არის ზედმეტი,
რომ აქ მეამიტათ
დემიან ბედნი მოვიხმარიო,
მისი და ჩემი ავრი-დავრიო.

მისმინეთ, მეგობრებო, ყურადღებით,
ამდგარი ნუ დაჯდებით, დამჯდარი ნუ ადგებით!
მოგითხრობთ მე თქვენ მოსე და აარონზე,—
მათ გალაშქრებას ეგვიპტის ფარაონზე.

ყოჩაღი იყვენ ბიჭები,—
ნამდვილი ბალშევიკები!

მენშევიკებზეც ცოტაოდენს აქ მოგახსენებთ.
მოსეს დროსაც რომ არსებობდენ, — მას გაგახსენებთ!
როგორც ამ დროში, ისე მაშინაც,
ყალთაბანდობდენ მათ სამარცხვინოთ!

ოჯახს ვერ ნახავთ თქვენ უმახინჯოთ,
თუ დაკვირვებით კარგა გაშინჯავთ!..

— : —

პირველად მოსე სცხოვრობდა არალეგალურათ,—
ესე იგი — ფარულათ!
შემდეგ, ერთად აარონთან,
გამოცხადდა ფარაონთან.
— „ასე და ისე, თქვენო დიდებულებაო,
ამის მოხსენებას თამამად გიბედავთ:
შენს მოხელეებს ვეღარ დავანებებთ
ითარეშონ ისე, როგორც იმათ ნებავთ,
ებრაელი ხალხის ზურგზე.

ვერ დაუშვებთ, რომ ლუკმა პურიზა
იზნიქებოდეს წელში
იმათ ხელში
ის ერი,
რომელიც ღვთისაგან არჩეული არი“!..

ფარაონმა, რომ ეს მოისმინა,
აღელვებულმა ვერ მოითმინა.
თვალები მკაცრად დააბრიალა,—
გააფთრებულმა დაიღრიალა:

—„აღარ გაათავებთ მაგ თქვენ ყბედობას?
შეგანანიებთ ამ თავხედობას“!...
მოსე და აარონი რომ წინ იფრინა,
მოციქულები ფარაონმა ყველგან აფრინა:

— „ჩვენი მეფური დიდ მზრუნველობით
და გამსჭვალული კეთილ სურვილებით,
ვაცხადებთ საყოველთაოდ,
რომ ჩვენ ვითავეთ
გავაჩაღოთ წარმოება!..

მხედველობაში გვაქვს ის გარემოება,
რომ აუცილებელია ზედამხედველთა რიცხვის გა-
რავლება.

რათა მუშებს არ მიეცეთ ნება
თავისუფლად ამოისუნთქონ,
ან ჩვენზე რაიმე ძვირი სთქვან!..
თავჩაქინდრული აკეთონ საქმე.
გაუქმებულია ყოველი უქმე.
ერთ სამუშაო დღის გაცდენისთვის,—
ციხე ექვსი თვის!
ხელფასი არვის არ მოემატოს, —
საკანში ჯდომა თუ არ მოენატროს“!.

ფარაონის მკაცრი ეს საჩუქარი,
ქვეყნათ მოედო, ვით სწრაფი ქარი!
მენშევიკური ვერაგების ხროვამ,
ხელზე დაიხვია სწორეთ ეს შემთხვევა.

მისაბაძავი გულმოდგინებით,
მოსეს მიმართეს ლანძღვა გინებით,

— „რატომ ჩაგვაგდე შენ ამ განსაცდელში
აღარ მახსოვს ეს მოხდა რომელ წელში...

— : —

მოსე შემდეგშიც თავს კარგად გრძნობდა
თავის მოქმედებას ისევ განაგრძობდა.
ერთსა და იმავე წერტილში ის სცემდა.
არალეგალურათ ფურცლებსაც კი სცემდა!!
კრებას ხომ კრებაზე დღე-ღამ ატარებდა,—
ყველა ამ კრებაზე ერთ აზრს ატარებდა: —

— „ძირს ეგვიპტელი ბურჟუაზია!
ჩვენი ქვეყანა არის აზია!
მითხარით ერთი, თქვენ გენაცვალეთ,—
ეგვიპტეზე ის როგორ გავიგალოთ?

სადაც მდინარე მოდის რძის და თაფლის,
იმას სხვა მხარეზე კაცი როგორ გასცვლის!

გავსწიოთ, ძმებო, ჩვენ იმ ქვეყანაში,
სადაც ვიმუშავებთ საკუთარ ყანაში!
ჩვენი ქვეყანა იქ არის აღთქმული,
თითონ ღმერთისაგან მე ასე მაქ თქმული!

იქ ჩვენ ვიცხოვრებთ სრულად თავისუფლად,
არვინ გვეყოლება ბატონად და უფლად!
ცხოვრებას მოვაწყობთ ჩვენ იქ სხვანაირათ, —
უფრო გამოვიჩენთ უნარს და ყაირათს!

ყველას მივარგუნებთ მოთხოვნისდაკვალათ,
და გამოვართმევთ კი შეძლებისდაგვარად.—
კეთილ ცხოვრების რაც საფუძველია,
დანარჩენი კი არც ისე ძნელია“!..

—:—

სიტყვიერ აგიტაციის გარდა,—
რომელსაც აარონი ეწეოდა კარგა, —
ეგვიპტეში ებრაელების მონობაზე,
კლასთა წინააღმდეგობაზე,
და სხვა სოციალურ თემაზე,
მდაბიო გასაგებ ენაზე,—
მოსემ დასწერა წიგნი საუცხოვო,
რაც ეგვიპტელ ბრძნებს ძლიერ ეუცხოვა...

დაინახეს რა მასში ბალშევიკური სენი,
მეფის ტახტის წინ დატრიალდენ ყველა ისინი
და შეჰქნეს ერთი განგაში:
რომ პოლიტიკურ ეკონომიაში
მოსეს და აარონს ინჩი არ ესმით
და ამ დარგში მათ სიტყვა არ ეთქმით!

რაც თვით არ სჯეროდათ, — უმტკიცებდენ სხვას!
შეუდგენ ქვიჯაში ტყუილა წყლის ნაყვას!

რომ დაამარცხა მოსემ მოგვები,—
არ დაიჯეროთ თქვენ ეს ეგები?
დაბეჯითებით მე ერთს გითხოვთ მხოლოთ:
„დაბადება,“ რომ გადაიხილოთ.

იქ მოთხრობილია ბევრი აბდა - უბდა,
მაგრამ ცოტა რამ დაკვირვება უნდა.
რომ კაცმა გაიგოს,
რანაირათ იმ დროს
მოსე მოქმედობდა გაფაციცებით:
ქვეყანა მოჰფინა მან გაფიცვებით!

მდიდრებს შიშისგან აცახცახებდათ.
თავის დასაცავათ ჯარი მზათ ედგათ.

ს. თ—ია.

გაგრძელება იქნება.

შესაწყალი „მწყალობელი“

ღმერთი: (ს. თ—იას) — ჩემო ხილვა! გამიკითხე და ვრ ღომილი, მათხოვე შენი „ბიბლია“: ჩემსას აღარავინ კითხულობს და იქნება მაგით მაინც შევაგროვო ჩემი ცხვრის ფარასავით გაფანტული მრევლი

ამხ. მედუზას ბინას, ჭისი ზინ არ ყოფნის დროს, თავს დაესხენ ვიღაც ხულიგანი ქალები. მათი წარმოდგენით ისინი მედუზასგან იყვენ „ტარტაროზ"-ში გაწერილნი და იმუქრებოდენ ბებუთებით ანგარიშის გასწორებით.

გამოუქვეყნებელი ქრონიკა.

ტრადიციულად ვამბობ ამ სიტყვას
და ვალიარებ: „არა მაქვს ბედი"
და მარტოობის სევდა და ჭმუნვა
გულს მიწვავს ხოლმე, როგორც აბედი

—:—

არ ვამბობ ხშირად რომ ასე იყოს,
მაგრამ ხანდახან მოხდება ასე:
ვზიავარ ოთახში და მენატრება
ხმის გამომცემი და მობაასე.

—:—

და იმ დილით კი, როს ბანოვანნო,
თქვენ ლაწა-ლაწი დაიწყეთ კარებს,
გულით ვნატრობდი, „მოყვასის ხილვას"
და საოცნებოთ ვიწვევდი მთვარეს

—:—

მთვარე დიდი ხნის იყო ჩასული,
ნაღვლიან თვალზე რული მდიოდა,
და რა ვიცოდი თუ მთვარის ნაცვლად.
„თქვენი მშვენება" ამომდიოდა?!

—:—

„რად არ გამიხმა ფეხები მაშინ",
რომ გაგასწარით თუნდ ერთი ბიჯით,
შეგეგებოდით ვით ბავშვებს, როგორც
პატარა გოგოს, პატარა ბიჭი.

—:—

შევნატრი კარებს, რომ თქვენ გიხილათ,
ჩემს ოთახის წინ ბებუთით ხელში,
რომელიც გსურდათ, რომ გამოგეცლოთ
ჩემს „უბიწო" და „უმანკო" ყელში.

მაინც ვიცოდე ნეტავ ვინა ხართ
მაკო, ელპიტე, სოფო თუ ფატი,
ან რა გაგვიჩნდა ჩვენ გასაყოფი,
ვერ გავარკვიე, — „რჯული და ხატი",

—:—

თუმცა თქვენ ხატებს ათასს სჯობიხარი
ბანოვანებო, მე ასე მჯერა,
და გულით ვწუხვარ საკუთარ თვალით,
რომ ვერ გიხილეთ, ვერც ერთი ჯერა.

—:—

მე ყოველ ღამით სახლში ვისვენებ...
კმარა ბაასი. შევეხოთ საქმეს,
როდის ყოფილა რომ „ტარტაროზი".
დანების ქნეევით სადმე ალაგმეს?

—:—

ჩვენ სასკანდალო არაფერი გვაქვს,
შეჯიბრებაში მე გიწვევთ თქვენა,
მტკიცეთ ჩაებათ ფერხულში შრომის
ჩაჭკლათ გრძნობები პირადი, ქვენა.

—:—

და უსამართლო შეურაცყოფას,
თუ კი მოისმენთ ვისგანმე მაშინ,
მოგვიხმე ძმურად და თანაგრძნობის
კილოს იპოვით ტარკორის ხმაში.

—:—

ჩვენ კი უგნურ და ხულიგნურ სკანდალს,
საქმეს ვერ ვეტყვით, თავი ვანებოთ
დანარჩენ აზრებს პირადათ გეტყვით,
ჩემო უცნობო ბანოვანებო.

მედუზა.

ზესტაფონის მავრებლები

სწორეთ ისეთ დროს ვინახული
მე ზესტაფონი,
როს ძნელი იყო გამეცურნა
ტალახის ფონი.
მაგრამ, ეჰ, ტალახს ვინ ჩაოდა
ქუჩებში მდგარსა,
კოოპერატივს გასაჭირი
ადგია კარსა.
მაგალითები რამდენიც გსურთ...
ისმინოს ყველამ
აქ პატიოსან, ალალ ნოქარს
შეხვდებით ძნელათ.
სამაგიეროთ მრავალია
ყოველად უღირსი,
გამგეობას რომ დაევალა:
აღმოფხვრა ძირში,
მაგრამ სჩანს იგიც
განისვენებს საღათას ძილში.
წინათ ხაშურის მუშკოოპის
ლოთი ნოქარი
(ცნობილაძეა გვარი მისი—
მართლაც „ცნობილი")
დღეს აქ განაგებს მაღაზიას,
ვით ჯადოქარი,
მიმოვისებელი საქონლისა,
ყოვლად გმობელი.
(გამგეობა კი შორით უმზერ
გულ-დანდობილი)
ნოქარი ვანო გუნიავაც
დასჯის მაგვირად
(დადგენილება რაიკომის გამოტა-
ნილი),
შვებულებაში გაასტუმრეს
და წყალტუბოდან
ჩამოგრძანდება დღეს თუ ხვალ
„ხელ-დაბანილი".
აი „ტარტაროზ",
ვის ხელშია
ხალხის ქონება,
გადაჭარბება
ფაქტებისა
ნუ გეგონება.
თუ არა გჯერა,
მოდი, შენი თვალებით ნახე,
თან წამოიღე
„ვირთაგვების"
საჭერი მახე
და თუ ვსტყუოდე—
შენს წინაშე,—
გამამათრახე.

უჩინარი.



უდაბნოს და ქუთაისის ქუჩის ბედუინები ქარის დროს.

სენსაციური აღმოჩენა

ეს აღმოჩენა ნამდვილად მე მეკუთვნის. იქნება თქვენ-ნა გგონიათ, რომ მე ერთი რამ აღმოვაჩინე? არა! ორი!

პირველი: მე აღმოვაჩინე ერთ მახლობელ ავტონომიურ რესპუბლიკაში ისეთი მთარგმნელი, ქართული ენის მცოდნე, რომ ჯერ საქართველოს მისი მსგავსი არავინ უნახავს.

მეორე: მე აღმოვაჩინე, რომ თურმე ტფილისში დიდი ხანია არსებობს ერთი კომისია, რომელსაც მიზნად დაუსახავს ქართული ენის დახვეწა, გალამაზება, გამშვენიერება. კომისიას ჯერ-ჯერობით გამოცემული აქვს განცხადებები, რომლების წაკითხვა დაატკბობს ყველას, როგორც ქართველს ისე არა ქართველს.

რომ ლითონ სიტყვებათ არ ჩამომართვან ეს ამბავი სანიმუშოდ მოვიყვან დიდებული მთარგმნელის მიერ ნათარგმნს და დაბეჭდილ წიგნაკს: წიგნს სათაურათ აწერია: **„საზოგადოება წერა-კითხვის უცოდინარობა“**, მეექვსე გვერდზე შავით თეთრზე დაბეჭდილია შემდეგი: **„საუკეთესო სახსოვარი ილიჩის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა“** (!!!) ქვევით: **„ჩვენ მათხოვარი ხალხი, უკულტურო ხალხი, — არაა უბედურება: იყოს ცოდნა იმის, რომ მუშას და გლეხს სწავლა უნდა ეხლა“...** და სხვა (ოჰ, რა მშვენიერებაა?!). **ნ. ლენინი.**

მეშვიდე გვერდზე: **„უფლება და მოვალეობა საზოგადოების წევრის“.**

(„ამონაწერ ა—თის წერა-კითხვის უცოდინარობის საზოგადოების უსტავიდან).

§ 8. საზოგადოების წევრათ შეიძლება იქნეს მოქალაქენი ორივე სქესისა, შესრულებულნი 18 წლის, უფლების მქონე და სასამართლოს მიერ ურყვნელი...

§ 9. საზოგადოების წევრებად არიან პირები (ფიზიკური და იურიდიული), რომლებიც გარდა მატერიალური შემწეობისა საზოგადოებრიობისათვის აქტიურად იღებენ მონაწილეობას საზოგადოების მუშაობაში ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲞᲝᲑᲐᲓ“.

§ 10. ნამდვილი წევრი მიიღება საზოგადოებაში ორი საზოგადოების წევრის განცხადებით, საერთო კრებით, ღია ბალატიროვკით, უბრალო უმრავლესობით ხმისა.

§ 13. ნამდვილ წევრს აქვს ხმა გადამწყვეტი საერთო კრებაზე, აგრეთვე გამოირჩიოს ან იყოს ამორჩეული ყველა თანამდებობაზე საზოგადოებისა.

მე მგონია ეს მარგალიტები საკმარისია ჩემი აღმოჩენის დასამტკიცებლად.

ეხლა მოვიყვანთ მოღვაწეობის ნიმუშს იმ კომისიასას, რომელიც თურმე დიდი ხანია მუშაობს ტფილისში ქართული ენის დასახვეწად და ჩვენ კი არაფერი ვიცით.

ეს კომისია გახლავთ ა.-კ. რკ. გზის პენსიონერთა კომისია. პატარა კომისია კი არ გეგონოთ, თორმეტი კაცისაგან შესდგება. თავის მოღვაწეობის აღსანიშნავად კომისიამ ამ დღეებში ასეთი სამაგალითო განცხადება გამოსცა (sic) — ნის დასამტკიცებლად.

(მოგვყავს სიტყვა-სიტყვით) **„განცხადება. გაცემა ორდერნების მუშა მოხამსახურეებზე პენსიონერებზე მოხდება 17 და 18 ენკენისთვეს ხუთ საათ., საღამოს, რომელიც გატარებულია ადრიცხვაზე. ორდერნი კაცის და ქალის, რომელიც ობლები, ობლები მუშის ან ცოლი ეხლა ვერ მიიღებს ამუ ორდერნებს და მეორე ოჩერედში მიიღებენ ორდერნებს. კომისია“.**

ქართული ენის სიწმინდე, მისი ასე სათუთად შენახვა პირველი მაგალითია საქართველოს არსებობის ისტორიაში.

ეს ორი ფაქტი ღრმად დამაფიქრებელია და ძალაუნებურად დგება საკითხი — **როგორ მოვიქცეთ?**

ჩემი გულწრფელი წინადადებაა: დაუყოვნებლივ გამოიწეროს სახელგამმა ის დიდებული მთარგმნელი და მიანდოს მას ყველა თარგმნილი წიგნების რედაქცია..« (მისამართის აფხაზეთის სახ. განათ. კომისარიატი აღმოუჩენს).

რკინის გზის პენსიონერთა კომისია შეუერთდეს იმ კომისიას, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად შესდგა, ქართული ტერმინების შესამუშავებლად და ენის დასახვეწად. ამ კომისიას შეუძლია შეიჭრას იქ, როგორც ახალი ნაკადი და გააცხოველოს მისი მუშაობა. თუ ასე მოხდა, მაშინ ჩვენ „ბედს“ ძაღლი არ დაჰყეფს.

შახათი

აიღეთ ჩვენი მაგალითი

მე სამრეწველო რაიონში ვმუშაობ.

რა გინდა სულო და გულო, რომ ჩვენს რაიონში არ იყოს: დამკვრელობა, შეჯიბრება, შემხვედრი გეგმა, დამხვედრი გეგმა, ჩვეულებრივი ბრიგადები, მიმყოლი და გამსვლელი ბრიგადები, რევ. საწარმოო სასამართლო, აღტყინება, ენტუზიაზმი, აღფრთოვანება და ბევრი რამ სხვაც.

ერთი რამ იყო, რაც ხელს გვიშლიდა: ეს გახლდათ პამიდორის და კარტოფილის ნაკლებობა.

ჩვენი ადმინისტრაცია, პროფკომი, პარტუჯრედი და სხვები, როგორც წესია, მივადექით სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელმაც დაგვაიმედა, რომ კარტოფილიც, პამიდორიც და სალათაც თავზე საყრელი იქნება, ოღონდ საჭიროა ლოდინი.

მართლაც, ველოდით ენტუზიაზმით პამიდორ-კარტოფილს.

— გამოიჩინეთ ლოდინში დამკვრელი ტემპები! — გვამხნევებდა კოოპერატივი..

ვიჩენდით დამკვრელ ტემპებს და ველოდით.

— ნუ გეშინიათ, ცოტაოდენი ენტუზიაზმი ლოდინში და პამიდორი თავისი ოხრახუშით ქარხანაზე მოგადგებათ, — გვაიმედებდა კოოპერატივი.

ველოდით მუშური აღტკინებით.

— ცოტა კიდევ, — შემოგვძახოდა კოოპერატივი, —სულ მცირეოდენი ლოდინური აღფრთოვანება და კარტოფილიც მოდის!

მოგეხსენებათ, დამკვრელი ტემპები სწორედ ლოდინში არ ვარგა. აქ არც ენტუზიაზმი გამოდგება. ამიტომ მოვიწვიეთ კრება და ბოსტნეულის საკითხი განვიხილეთ.

— ბოსტნეული, ამხანაგებო, ფრიად კარგი რამეა და თან ასუქებს კაცს, — დაიწყო მოხსნება კოოპერატივის გამგემ.

ყველანი დავეთანხმეთ.

— ბოსტნეულის ჭამა სახეზედაც უხდება კაცს, — განაგრძო მან.

აქაც ყველანი თანახმა ვიყავით.

— სხვათაშორის, ბოსტნეულში არის ვიტამინები, ხოლო უვიტამინოთ ცხოვრება არ შეიძლება. ამიტომ მოგიწოდებთ ჭამოთ რაც შეიძლება მეტი ბოსტნეული, ორგანიზმისთვის მეტად სასარგებლოა,—დაამთავრა მან მოხსენება.

ყველა ნასიამოვნები დარჩა მოხსენებით.

— შეკითხვები ხომ არ გაქვთ, — იკითხა თავმჯდომარემ.

— როგორ არა, წამოიძახეს აქეთ - იქიდან, — ეგ კაცი რომ ასე აქებს ბოსტნეულს, აქვს თუ არა ჩვენს კოოპერატივს რაიმე მწვანელი, ექვსი თვეა დაპირებებით, რომ გვიმასპინძლდება?

კოოპერატივის გამგე დაიბნა, მაგრამ რიხიანად განაცხადა:

ბოსტნეული, ამხანაგებო, ჩვენ გამოვიწერეთ სხვადასხვა ქალაქებიდან, მაგრამ არ მოგსვლია, ისე მე მგონია, ეს საშემოდგომო—საზამთრო გადაზიდვები რომ მოწესრიგდება რკინის გზაზე, ჩვენც მივიღებთ მწვანილს. ჯერ რა გაჩქარებთ, მაისია (ეს ამბავი მაისში მოხდა)...

— კი მაგრამ, ქალაქებს სადა აქვთ მწვანილი, თითონ არ ყოფნით?

— ექნებათ,—დაგვაიმედა კოოპგამგემ, — ცოტა რავა არ მორჩებათ სულ თითონ ხომ არ შეჭამენ შე კაცო!..

დავფიქრდით. „ნუ თუ მართლა შეჭამენ და არ მოვაგონდებით, ეს ხომ სამრეწველო უბანია, თუმცა სოფლები ახლავს“!

ააშენოს მისი ოჯახი, სამი-ოთხი გამომგონებელი გვყავს და იმათ დაგვიხსნეს.

ოთხავემ ერთად შემოიტანა წინადადება, ჩვენ თითონ დაგვეწყო ბოსტნეულის მეურნეობა. მით უმეტეს, რომ ახლო - მახლო მიწები თან ნოყიერია და თან ცალიერიცაა. ამ გამომგონებას ორივე ხელებით ჩავეჭიდეთ და მუშაობის შემდეგ ყველანი ბოსტანში გავდიოდით თითო - ოროორი საათით. გავაშენეთ მაგრამ რა გავაშენეთ! ოცი დესეტინა ბოსტანი გვაქვს, კარტოფილით, ხახვით, ქინძ - ოხრახუშით, კომბოსტოთი და სხვა ათასი ბოსტნეულით.

ჩვენი კოოპერატივი ერთხანს შორიდან გვიცქეროდა, მაგრამ როცა გამგეობა გადავირჩიეთ, ისიც ჩვენთან მოვიდა და თითონ ჩაუდგა საქმეს. ახლა ჩვენი ბოსტანი ჩვენ კია არა, სამ ჩვენისთანა სამრეწველო უბანს ეყოფა.

ეს ამბავი, ამხანაგებო, ხუმრობა არ არის და ჩვენ ვურჩევთ ყველას, ნუ მოელოდებიან სხვისი პირით ფაფის ჭამას და თითონ შეუდგენ ბოსტნების გაშენებას. გარწმუნებთ, კარგიცაა ქარხნიდან სუფთა ჰაერზე გავლა და თითო საათი ბოსტანში მუშაობა, ხოლო რაც შეეხება ბოსტნეულს, ეს თავზე საყრელად გექნებათ.

მელითონე.

თემების დათვალიერება

სოფ. თერჯოლა (ზესტ. რაიონი)

— ვის დაეძებთ მეგობარო?

— აფთიაქის გამგეს, ვანიჩქა მხეიძის ბინას.

— ნათესავი, ხომ არ არის თქვენი?

— სრულებითაც ვერ ვიცნობ. მხოლოდ პირადი საქმე მქონდა.

— მაშ მხეიძე აქ აღარ ცხოვრობს..

— რატომ?

— თავის ოჯახის წევრებს სამსახური აფთიაქში ამოუჩინა და ცოლშვილიანად იმავე შენობაში გადასახლდა.

— მასე როგორ მოახერხა?

— მხეიძემ პირადი განკარგულებით მოხსნა აფთიაქის თანამშრომლები და მისივე ბრძანებით მოადგილეთ დანიშნა თავისი ცოლი. დარაჯათ კი თავისი მოსამსახურე, ხოლო სიდედრი და სიმამრი ჯერ-ჯერობით უადგილოთ არიან, მაგრამ ძალიან აიმედებს მათაც სამსახურის მალე შოვნით.

ს. ჭაგანჭუშური (სამტ. რაიონი)

ვიღაც კაცი ღვინით ძალზე გალეშილი ორღობეებს აქეთ-იქით ასკდებოდა.

— ვინ არის საწყალი ასე ძლიერ რომ დამთვრალა?—ვკითხე მე.

— ჩვენი კოოპერატივის ნოქარია; „ბაკი ნიკოლეიშვილი.

— სად ყოფილა ნეტავი?..

— მაგას ხომ რელიგიური დღესასწაული არ გამოეპარება, ალბად დღესაც იქ გაილეშებოდა. არტელის წევრი მაინც არ იყოს!.. **თალა.**

კურორტოლოგიური პოემა

თავი პირველი, რომელშიაცაწერილია მწერლებთან შეხვედრა

(გაგრძელება)

ქობულეთიდან გავყევი
შავი ზღვის პირებს ფეხითა
ნაპირებს ეხეთქებოდენ
ტალღები კისრის ტეხითა

— : —

მახინჯაურში ჩავედი
იყო დღე იგი შაბათი.
ლიტერატურულ თემაზე
მომეცმა ცხარე კამათი.
ყური დავუგდე,—დაობა
არ თუ კლებულობს, მატულობს...
თურმე **ბენიტო** იძახდა:
—„მე ტყავს გავაძრობ **ტატულოვს**“!
და **რადიანი** ბენიტოს
ეთანხმებოდა ამაში;
კვლავ სთქვა: ამ **ვოლსკის** რა უნდა,
მანაც, რომ შექმნა განგაში.

—:—

ბათომში ვნახე **კალაძე,**
ეძებდა თავის „ხატიჯეს“
ცხელოდა აღარ დავდექი.
თუმცა ძალიან მპატიჟეს.

— : —

აჭარისტანის პოეტებს
უნდა მივსწეროთ ბოდიში,
ვერ დავდექ რადგან იმ დღეს
მსურდა მენახა ოდიში.

— : —

ჰაეროპლანში ჩავჯექი
სწორედ როცა დადგა ბინდი,
სოჩისაკენ გადავფრინდი.
სოჩისაკენ გადავფრინიდი.

— : —

ზუგდიდს რომ გადაუარე
ტიციანს მოვჰკარ თვალია
პოემას სწერდა ტროპიკულს, —
იჯდა, არ იყო მთვრალია;
ღვინო რომ ერთობ გაძვირდა,
ალბათ, თუ იმის ბრალია.

— : —

გავსცდი ათონს და გუდაუთს
ვაგრაში დავიდე ბინა.
მრავალი კაცი და ქალი
მზეში სილაზე ეფინა.
მათ შორის **ბესო ყელენტი** და
კვლავ **სერგო ამაღლობელი,**
ის რუსთაველის თეატრის
მაგინებელი, მგმობელი.
მაგრამ იქ აღარ ახდენდნენ
თეატრის განქიქებასა;
ახალი ყოფის დამცველნი
ქალებს უძღვნიდენ ქებასა,
და უწონებდნენ სირცხვილის
დაძლევას — გატიტვლებასა.

— : —

მე ნადირაძე კოლაუ
შემომეფეთა ანკესით:
—ვთევზობ, ვნადირობ, ვბანაობ,
მიყვარს ცხოვრება ამ წესით!..
ასე მითხრა და გამშორება
მხიარულებით მისითა:
მას თავმომწენედ მიჰქონდა
სამი დამხჩვალი ლიფსიტა.

— : —

იქიდან ტფილისს დავბრუნდი
სახელგამში შევიარე;
თუმცა დიდათ არა მწყალობს
იგი მზე და იგი მთვარე.
ნადავლიდან სულ სხვას მაქვს
ზურგიელი ანუ დოში,
მე კი თითო ჩაის კოვზი,
თვეში ერთხელ, მიწევს გროში.

— : —

მითხრეს: — **მიწიშვილს** ვერ ნახავ,
თუმცა აქ სადღაც არიო,
სჯობს გაანებო თავი და
წახვიდე თუ იჩქარო.

— : —

ბარონის კაბინეტისკენ
გავბედე ექვნი პირი მე.
შესვლის თანავე მომესმა:
—„არა გვაქვს, შენი ჭირიმე“!..
მას ჰქონდა აწეული და
ჩამოშვებული ცხვირი მე.

— : —

კიკეთში **რაჟდენ გვეტაძეს**
ვეწვიე, მეგობარია.
ლიტერატურას, ჰაერს, ტყეს
შეეხო საუბარია.
მითხრა: პროზაზე გადაველ,
ლირიკა მეც მომწყინდაო,
ბელეტრისტების სარდლობა
არ დაგიმალავ მინდაო.

— : —

კოჯორში ვნახე **გრიგოლი;**
ის ამტკიცებდა ამასა:
—„ახალ რომანში აესახავ
ჩემ პაპის მამის მამასა;
კვლავ ნახავთ **ირრუბაქიძე**
როგორ ხმარობდა ყამასა;
მაგრამ იმ ჟამად არ სწერდა
არც ლექსებს, არცა დრამასა.

გაიოზ ყირიმელი.

ქალი:—რა მომხიბლავი სიჩუმეა.., მალე შეღამდება და მინდორველს ღამის ზეწარი დაფარავს.
—ჩემს გაფლანგულ ფულებს კი არავინ არ დაფარავს!..

არ გაბედო

(სცენა სოფ. ყაზბეგში)

—აბა დავიწყოთ!

— უპირველესად ყოვლისა ავირჩიოთ თამადა.

— მე თამადად ვასახელებ ჩვენი რაიკომის მდივანს ამხ. ტყაშალაძეს.

— ძალიან კარგი იქნება, ისლოც(ვ)ხლეთ ამხ. ტყაშალაძე, გისურვებთ პირნათლად შეგესრულებიოთ თამადის მძიმე მოვალეობა.

— გმადლობთ ამხანაგებო თამადად არჩევისათვის, მაგრამ მარტო მე ვერ გაუძლებ ამოდენა კამპანიას, მომეცით ერთი „პაპოშნიკი“ მაინც.

— ვადაჭკორია, ვადაჭკორია! — გაისმა ხმები.

— დიდი სიამოვნებით, ამხანაგებო, მაგრამ, რომ ვინმე ავად გახდეს და აფთიაქში წასვლა მომიხდეს!?

— არა უშავს — რა, ხვალამდი მაინც არ მოკვდება უწამლოთ.

— მართალია, მართალი!

— ამხანაგებო! — დაიწყო თამადამ—ნება მომეცით პირველად ვადღეგრძელო ჩვენი „ქენადელი“, რომელმაც გაგვიმართა ეს მშვენიერი სუფრა, ოქტომბრის რევოლიუციამ ზორკილები აჰყარა ქალებს. თქვენ ალბათ გახსოვთ ლენინის სიტყვები, რომ თვითეულმა „კუხარკამ“ უნდა შესძლოს სახელმწიფოს მართვა - გამგეობა; დიდი მოძღვრის ამ ანდერძს პირველად ასრულებს ჩვენი „ქენადელი“, ამას ამტკიცებს თუ გინდათ ეს უხვი მასპინძლობა.

გაისმა ტაში და ვაშას ძახილი.

— სმენა, ამხანაგებო! — წარმოსთქვა ისევ თამადამ: — სიტყვა ეკუთვნის კომკავშირელ ამხ. ღარიბაშვილს. აბა სთქვი, ამხანაგო!

— ამხანაგებო! მე წინასწარ ვგრძნობ, რომ ბევრს არ მოეწონება ჩემი სიტყვა, მაგარმ მე მაინც ვიტყვი.

— სთქვით, სთქვით.

— ამხანაგებო! მე არ ვეთანხმები რაიკომის მდივანს, დღეს კი ჩვენ პატივცემულ თამადას ამხ. ტყაშალაძეს.

— რატომ, რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, რომ „ქენოტდელი“ კი არა, არც ერთი ორგანიზაცია არ მუშაობს ჩვენს რაიონში რიგიან - პირიანათ.

— სცდებით ამხანაგო!

— სამწუხაროდ, არ ვცდები პატივცემულო ექიმო ვარდაშევო, ავიღოთ თუ გინდ თქვენი საავადმყოფო; რასა ჰგავს ის? სალორეს უფრო წაავავს, ვიდრე სამკურნალო სახლს. თქვენ 600 მანეთად ნაყიდ ცხენს უფრო უვლით საავადმყოფოზე; რაიონში გამეფებულია ათასნაირი გადამდები სენი, თქვენ კი კავკავისაკენ გასეირნება უფრო გემარჯვებათ, ვიდრე რაიონში გავლა - გამოვლა. ასეთსავე უწესრიგობას აქვს ადგილი სხვა დარგშიაც.

— მაგალითად?

— არ არის ჩვენში გაფართოებული სოცშეჯიბრება, დამკვრელობა; არავითარი ყურადღება არ ექცევა კულტურულ მუშაობას. სამკითხველოში წიგნები არ არის, რადიო სდუმს, ცუდად არის დაყენებული მუშების დაზღვევის საქმეც, არავითარი ყურადღება არ ექცევა საზოგადოებრივ კვებას, ლოთობა, ენატანიობა, ინტრიგანობა, — აი, რა ახასიათებს ზოგიერთს ჩვენს ორგანიზაციებს.

— თქვენი აზრით ვინ არის მერე ამაში დამნაშავე?

— ყოველივე ეს გახლავთ შედეგი ცუდი ხელმძღვანელობის, შედარებით უკეთ მიდიოდა საქმე ჩვენს რაიონში წინანდელ მდივნის დროს... ამისათვის მე ვადღეგრძელებ ძველ მდი...

— არ გაბედო, თორემ, აი, ამ დანას ჩაგკრავ გულში.

ძველი.

აეწვა

— დახე, ჩვენი მოჯამაგირე რაებსა ჰკითხულობს! თვალი დაუდგეს ვინც მაგას კითხვა ასწავლა.

ჩოქარი: — რას ჩასჩურჩულებ მაგ თევზს ამხანაგო?
— შარშან მამა დამეხრჩო წყალში და ვეკითხები, ხომ არსად უნახავს.
— ვა, სიდან ნახავდა, როცა ეგ საწყალი თითონ შარშანწინ დაიჭირეს!

შეჯიბრი ფყევლაში

(მარანი, აბაშის რაიონი).

მაკრინე: გაგიცივდა თავი, გაგიჩიკინდა ფეხები, რავარც ჩვენი ალმასკომის წყალობით გაცივდა და გაჩიკინდა ალმშენებლობა მარნის თემში... უკან-უკან წევიდა შენი მოდგმა მონაგარები, ისე, რავარც თედორეს წყალობით უკან-უკან წევიდა ჩვენში ხიდე-ბოგირებისა და გზების კეთების საქმე...

ელპიტე: გეიფიტა შენი ოჯახი და გახრიკინდა შენი გოგრა ისე, რავარც ჩვენი სამკითხველო გეიფიტა და გახრიკინდა მისი გამგის უმოქმედობით... დეგეხრჩვა კვატიე წყალში, ისე, რავარც ნადიე იხრჩვება სამკითხველოში მტვერში და ნაგავში..

მაკრ. დაგიმყავდა ცხვირი ისე, რავარც კომისიებმა სადგურის გეგმები დაამყავეს...

ელპიტე: დეგეძინოს, დეგემართოს გოულევიძარი ისე, რავარც ჩვენ სანიტ-კომისიას დეეძინა და არ ელირსა გაღვიძება; დეიხრჩვი და არ გეშველა არაფერი ისე, რავარც ჩვენს ბაქანზე იხრჩვება ხალხი სიბინძურეში...

მაკრ.: შემესპე, მომიკვტი! იარა შენმა გვარმა სულ ტყულებში, ისე, რავარც თემის კულტკომისია ატყუებს ხალხს გასამართლების მოწყობაში.. ამეგეწყველა სული და დაგირჩა პირი დაღებული, ისე, როგორც ჩვენს თავმჯდომარეს დოულია პირი და ყვირილის მეტს არაფერს აკეთებს...

ელპიტე: დეგეფსოს თვალები! ოუვარდა შენს ძლაბს თვალების პრუწვა და პაჭუნი და მოგჭრა თავი ქვეყანაში, ისე, რავარც ჩვენ თემში იფსება ყოველ ღამე ელექტრონები და ხან-ხან დაგვიპრუწავს და დაგვიპაჭუნებს თვალს მოარშიყე ქლივით... როცა მორიგე ელმწყობს გამოეღვიძება ...

მაკრინე: აგცილდა ყველაფერი სიკეთე, გაძვერი ტრუბაში.. ისე, რავარც ვალიკო ჯანელიძეს აცილდა წმენდაზე ხალხის რისხვა და გაძვრა უსაყვედუროთ. დაგეფარა სიკვდილი, ისე, რავარც აპკამწმენდ კომისიის თავმჯდომარე მიქაძე დეეფარა მარანში „ძმა-ბიჭებს“ და გაიძვრინა ტრუბაში...

ელპიტე: ეგერია ოჯახი, რავარც ერემა გუგუშვილმა არია გლეხკომის სასადილო და ოთახებს აისგვარია სასამგლოზე აქირავებს... გადაგეკიდა ყოველგვარი ჭირი და დევიდარაბა, რავარც ვალიკო, დათიკო, მარუსია და ლადიკო გადაეკიდნენ მუშათა კორესპონდენტებს და არ აძლევენ მოსვენებას.

თავდასხმა

იმ დღეს რაიონულ ცენტრში ისეთი მღუღმარეობა შეიქნა, ასე გეგონებოდათ საალყო წესებია გამოცხადებულიო.

— აღმასკომი, სოფლის კავშირის განყოფილება, ბალ-ბოსტნის რწმუნებული, „პლოდოვოშჩის“ ფილიალი, სამომხმარებლო კოოპერატივი, საკრედიტო ამხ-ბა და სხვ. სავსე იყო მოფუსფუსე ხალხით. სახე ყველას უცნაური ქონდა, რაღაც საიდუმლო გამომეტყველებით.

— წინა კვირას ხომ ბევრი გაძვრა, ახლა მაინც მაგრად იყავით, თორემ წმედა არ აგცილდებათ, ყველას მექანიკურად დაგითხოვთ! თქვენ არ გესმით რა უდიდესი მოვალეობა გვაწევს! ჩვენ უნდა მოვსპოთ ახალი ბურჟუაზია, როგორც კლასი, რადგანაც კულაკობის ლიკვიდაცია რაღაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გადაგვადებინეს! — ასე გაისმოდა, სარაიონო დაწესებულებებში.

— ფხიზლად ბიჭებო, — აფრთხილებდა მილიციის უფროსი, გახსოვდეთ, რომ ჩვენ მუშურ გლეხური მილიცია ვართ! არც ერთი კვერცხი კერძო პირს, არც ერთი თავი ბოლოკი შეუკავშირებელ მოქალაქეს!

— აგე, დავაგროვებთ სურსათს და მერე ოხრახუშის გაცემაც მოწესრიგდება, ყველა მიიღებს ორდერებით, ყველაფერი კოოპერაციამ უნდა გაატაროს. ფრთხილად გეჭიროთ თვალი და ძველ ტანისამოსში გამოხვეული კულაკი საშუალო და ღარიბი გლეხი არ გეგონოთ! — არიგებდენ თანამშრომლებს კოოპერატივში.

დაირაზმა ხალხი. ყველა მზად იყო, რომ ბაზარზე ხანოვაგით გამოსული გლეხებისათვის შესაფერი პასუხი გაეცათ.

დილა გათენდა, მაგრამ რა დილა! ცის კამარას სიფათში ეტყობოდა, რომ იმ დღეს ბაზარში დიდი ამბები დატრიალდებოდა და სარაიონო ქალაქის სოცსექტორი გამარჯვების დროშას აafრიალებდა წვრილ საცალო კერძო ვაჭრების გავერანებულ საფლავზე.,

მართლაც, დილის 7 საათზე სოფლის გზაზე გამოჩნდა ორი გლეხი კალათებით.

— ფხიზლად ბიჭებო, ეგენი კულაკები არიან, ალბათ კერძო სექტორში მიაქვთ საქონელი! — გაისმა ხმები.

დამამზადებლებმა სული განაბეს და იერიშებისათვის მოემზადენ.

გლეხები მოახლოვდენ.

— სახეზე ეტყობათ, რომ მაგათ კერძო ვაჭრებთან აქვთ კავშირი,— გაისმა ჩურჩული კოოპმუშაკებში.

— გლეხები ბაზარში შემოვიდენ და ხალხში გაერიენ.

— რას ყიდით? — შეეკითხა მათ ვიღაც ლურჯ - ხალათიანი, რომელსაც იმ დღეს გამოსასვლელი დღე ქონდა.

— კვერცხია, ამხნაგო, მაგრამ ჩუმად იყავი! წინა კვირას კვერცხიცა და ყველიც კოოპერატივმა წაიღო, არ გაგვაყიდვინეს. ახლა მარტო ჩვენ გავბედეთ სოფლიდან წამოსვლა, სხვები არ წამოსულან!

ლაპარაკში კიდევ სამიოდე მუშამოსამსახურე მოემატა და ის ორი კალათი კვერცხი გაინაწილეს.

— აჰა, აიღეთ ფული...

— სტოპ! სტოპ! ხელები მაღლა! არ გაუშვათ! — გაისმა უცებ დამამზადებლების, კოოპ. და მილიცმუშაკების მედგარი ხმები: მათ დასცხეს ყიჟინა და ისეთი იერიში მიიტანეს გამყიდველ გლეხებსა და მყიდველებზე, რომ ვერდენისა და ბასტილიის სიმაგრეც ვერ გაუძლებდა.

დაიჭირეს ყველა. წაიყვანეს.

— მაშ ეს თქვენ ბრძანდებით, სასურსათო ბაზარს რომ არღვევთ, კერძოებს ამარაგებთ, კოოპერაციას გვერდს უხვევთ, კერძო კაპიტალს ანვითარებთ...

გლეხები გაშეშდენ. მყიდველები აღშფოთდენ.

— რა ამბავია, რა გაყვირებთ?

— როგორ თუ რა გვაყვირებს, ილან ძლებით კიდეც! აქ ბაზარში გამოდიხართ, კოოპერაციას არც კი ეკითხებით და უშუალო კავშირს იჭერთ გლეხთან, ყიდულობთ კვერცხს, რომ შეჭამოთ და ამოდენა დამამზადებლები და კოოპმუშაკები მშიერი დაგვტოვოთ? იცით თუ არა თქვენ, რომ ჩვენ წვრილ - შვილის პატრონი ხალხი ვართ?

მყიდველები (ზოგი ბრიგადის წევრებიც აღმოჩნდა) კიდევ უფრო აღაშფოთა ამ ამბავმა, მაგრამ თავი შეიკავეს.

— ჰო, მართალია, მე ოცი კვერცხი ვიყიდე ამ გლეხიდან და ამით დავაბრკოლე ჩვენი კოოპერატივის საქმიანობა, — „გამოტყდა“ ერთი მათგანი, — დიდია ჩემი სასჯელი, მაგრამ სანამ გამსახლში ჩამსვამდეთ, ნება მომეცით ფოსტით დეპეშა გავგზავნო ქალაქში, ნათლიმამა მყავს ავათ...

დამამზადებლები მოალბო დამნაშავის გულახდილობამ და მისცეს დეპეშის გაგზავნის უფლება. არავინ იცის, რა ეწერა დეპეშაში, ოღონდ ეს კია მართალი, რომ დეპეშის გაგზავნის მეორე დღესვე ხსენებულ ქალაქს ცენტრიდან ეწვიენ ინსპექციის და სხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები.

შედეგი ის იყო, რომ „დამამზადებელთა“ საკმაოდ დიდ ნაწილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, გაფრთხილება და ზოგიც სავსებით განთავისუფლებული იქნა თანამდებობიდან სათანადო პანღურის დართვით.

ალლარ - ალლარსან.

მშვიდობიანობის ანგელოზები

ა ნ უ

სხვადასხვა „განიარაღების“ კონფერენციის მონაწილენი.

„დ ა ა მ შ ვ ი დ ე ს“

კულაკ გაბო ბლიკვაძეს ნამუსის და სირცხვილის მართალია არაფერი შერჩენოდა, მაგრამ მისი ლიპიდან ორ ფუთ ქონს მაინც აიღებდა კაცი. ცხვირი კარგი ჯიშის გრძელ ბადრიჯანს უგავდა. ყავდა მოჯამაგირე ალექსა.

— დრო წახდა, ამ ქიტე კომუნისტებმა ამიშალეს ცხოვრების პრუჟინა, დაუჩემებიათ, კულაკობა ავლაგმოთო, — ჩემმა ალმასკომის თავმჯდომარემ, ვენაცვალე ამას, ვარაყიან კისერში, ჩემი დაცვა მოინდომა, მარა უყიჟინეს და მიაკრეს შუბლზე ოპორტუნიზმი და გადახრა. არა, მართლაც რომ ჩემი ქონება კი გადახრა გიორგიმ, მარა მაინც ვერ მიშველა.

ასე ეჭიკჭიკებოდა თავის კნეინა, ნინოს, რომლის ცხვირი კოლექტივის ქართოფილს გავდა. გაბოს, მუშკომის თავმჯდომარე, კარებზე მიადგა.

— გაბო, მოჯამაგირე გყოლია? უნდა აღვრიცხო, წერა-კითხვა უნდა ვასწავლოთ. გამოიძახეს მოჯამაგირე. მუშკომის თავმჯდომარემ თავის „შედგენილი“ ცირკულიარი წაუკითხა მოჯამაგირე ალექსას, რომელიც ასე თავდებოდა:

— „ინდივიდუალური წერა - კითხვის ლიკბინდაცია, ჩვენი კარდინალური ამოცანების უკუნჭულესი მიზანია, ამიტომ უყოთ ლიკვიდაცია მოჯამაგირეების წერა-კითხვას, და გავსწიოთ წინ რეკონსტრუქტიულ პერიოდის უპერიოდისაკენო“.

— ვერაფერი გავიგე ჩემა ლალა, რაც შენ წაიკითხე ქიტე ძაღლო — უთხრა ალექსამ. მართლაც ვინ გაიგებდა თავმჯდომარის შედგენილ ცირკულიარს, თურმე მან ცენტრადან მიღებული ცირკულიარი, რომელიც გასაგები ენით იყო დაწერილი, „შეაკეთა“. აბა რის თავმჯდომარე იყო ის, თუ ცვლილებას არ შეიტანდა შიგ.

ასე იყო, თუ ისე, შეთანხმდიან. ალექსამ დაიწყო წერა-კითხვის სწავლა. გაბოს თავზე თმები ლორის ჯაგარივით აებურძგა, არ მოეწონა ეს ამბავი. ალექსა დროს იშოვიდა თუ არა, ხმა-მაღლა კითხულობდა „ანბანს“;

— „კულაკი ჩვენი მტერია, მას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ“ და სხვა.

— რაო, ვინ გითხრა ბიჭო, რომ კულაკი მტერიაო. მაგას გასწავლიან შენ? პირდაპირ ნომრები ამიშალა ამ ცინგლიანმა, მოჯამაგირის სწავლა სად გაგონილა — მამაჯანოვის მოშლილ არღანივით ღრიალებდა კულაკი.

ალექსამ ისწავლა წერა - კითხვა. გაიგო ქვეყანაზე, თუ რა ხდება. „ტარტაროზი“ გამოიწერა და კითხულობდა. ერთ დღეს ერთი წერილიც კი გაუშვა „ტარტაროზ“-ში კულაკ გაბოზე, რომ გაბო მთელი ღამე ნიშადურ ამოცხებულივით გამწარებული დაძუნძულებდა ეზოში.

ერთ დღეს კულაკი საბჭოში დაიბარეს.

— შენმა მოჯამაგირემ თავის ხელით დაწერილი განცხადება შემოიტანა, თურმე ხუთი წელია ისე გყოლია, რომ ჯამაგირი არ მიგიცია და საბჭომ სხდომაზე დაადგინა, გადაუხადო ხუთასი მანეთი.

— ვაა, ეგ რა ხათა მიყო, განა მაგისთვის ისწავლა წერა-კითხვა, მაგ სმოლოჩმა, მაგ კონწომოლამ — ბუზებერ ტახივით ქშინავდა გაბერილი გაბო.

— რას იზამ გაბო, ასე იცის წერა-კითხვის სწავლებამ და განათლებამ. ის დრო უკვე მამაშინის სულს გაყვა, სიზნელით რომ მოჯამაგირეს ჩაგრავდით „დაამშვიდეს“ კულაკი და ხუთასი მანეთი ჯიბიდან ამოცოცდა.

ივანიკა.

კავშირის ანარიცხები თავის დროზე არავის შეაქვს..

მშვენიერთა ხელმწიფეო გვკლავს ხიშოწე შენია.
ანარიცხებს რომ იხსენებ, რატომ არა გრცხვენია?

ოპორტუნისტის „აქტიურობა“ პურის დამზადების საქმეში

(„კრაკოდილიდან“)



— ...ჯამაგირს კი მე თითონ ავიღებ.

დ ე პ ე შ ე ბ ი

„ბუხი“ ქმარი

სტალინისი (რკ. გზ. მთავარი ანგარანი). ბიუროკრატობს ელენე (კიკნაძე მისი გვარია), თავის კაპრიზებს ატარებს, საქმე სულ არივ-დარია: თან ამ სიტყვებით ამაყობს: „ბუღალტერი მყავს ქმარია“. (ხო—)

„სოცშეჯიბრი“

სად. შორაპანი. ადგილობრივმა ფოსტის განყოფილებამ წარმატებით დაიწყო საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარება, ჯერ-ჯერობით დათესილია რამდენიმე ათეული წერილი, რომლებსაც გლეხები გზაში ნახულობენ. გადაწყვეტილია აგრეთვე ძირულის, ხარაგოულის და ჩხარის ფოსტის განყოფილებების სოც. შეჯიბრში გამოწვევა. (დ. შორაპნელი).

იერიში

ძირულა. (ზესტაფონის რაიონი). გუშინ დაიწყო ჭიალუების სასტიკი იერიში ადგილობრივ მუშათა კოოპერატივის ფურნეზე. მოქალაქეებს გადაყლაპული აღმოაჩნდათ ჭიალუების რამდენიმე პარტია. თვით ჭიალუებს კი ჯერ-ჯერობით არც ერთი მოქალაქე არ გადაუყლაპავთ. მიელიან ტარაკანების დამხმარე რაზმებს. მდგომარეობა საშიშია. („კირკიტა“).

„ტიკო-ტიკო“

ფელისციხე. კვირაში აქ ერთხელ, იმართება ცეკვა, უვლიან იქ დაელურს: მარო, მიშა, კეკა, მოდიან ცეკვაზე აძლევენ ექვს შაურს; ისმენენ იქ მხოლოდ გინებას და ხმაურს. გიჟი, ლოთი, ფოთი, ხუყველა იქ არის და მეპურე სიკო ყირაზე გადადის. იმართება ცეკვა, თავს უკრავენ სიკოს, მეგარმონე „ჭყანტო“ უკრავს „ტიკო-ტიკოს“-ს.

ტფილისის ქრონიკა

60 კაპიკის გადაჭარბებით

[illegible]აძვაის ვაგონმა № 86-მა, გუშინდელი დღის სამ-რეწვ.-საფინ. გეგმა შეასრულა 50 კაპიკის გადაჭარბებით, მით, რომ კონდუქტორმა ათი შაურით დააჯარიმა სოფლელი გლ[illegible] გაჩერებული ვაგონიდან გადმოხტომისათვის.

იშვიათი შემთხვევა

ტფ. სასწრაფო დახმარების ავტო-მანქანამ გვერდი ჩაუარა ქუჩაში მიმავალ მოქალაქეს. არც მანქანა და არც მოქალაქე არ დაზიანებულან. შეუკავშირებელი მაყურებლები გააკვირვა ამ უჩვეულო ამბავმა.

უცნაური მოვლენა

შვებულებიდან დაბრუნდა რეგისტრატორი კოწო კანჭიძე, რომელსაც ბინა გაუტეხელი და გაუქურდავი დახვდა.

აღმაშფოთებელი სპეკულიაცია

ნიახურ-ნაწარმის ადგილკომმა მოახდინა თავდასხმა ტფილისის ბაზრებზე და სხვათაშორის, ერთ-ერთ მეეზოვეს აღმოუჩინა გირვანქა „ტიანუშკა", რომლის გაყიდვასაც იგი აპირებდა სპეკულიაციისა და ბაზარზე არევ-დარევის გამოწვევის მიზნით. „ტიანუშკა" ჩაიბარა ადგილკომის ტეხნიკურმა მდივანმა და შესანახად გადასცა თავის საკუთარ სიდედრს.

ვისია ნივთები?

მუშკოოპის სავაჭროში იპოვეს ახალი ხილი და ავ-მიდორი, ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს ნივთები ალბათ დარჩებოდა ვინმე სოფლელს, თორემ მუშკოოპი ახალ ხილს პრინციპიალურად არ მოიტანდაო.

დაიკარგა ლოდინი

გულდამწვარნი ტფილისის ფართო მომხმარებელნი გვთხოვდენ გამოვაცხადოთ, რომ მათ უკვე დაკარგეს მოთმინება განჯის ყურძნის მოლოდინში მუშკოოპის სათანადო სავაჭროების წინ.

იყიდება ორდერი

იყიდება შეშის ორდერი, მოცემული მუშკოოპისაგან. ორდერის პატრონი შეშას მიიღებს დაუყოვნებლივ, —ე. ი. 1931 წლის გაზაფხულზე. იქვე, შეშის საწყობებთან (დიდუბესა და ავლაბარში) დაარსებულია მოქალაქეთა ტყავის გამხდელ მეფურგონეების არტელი, მასში შედიან გადაკვალიფიკაციებული ტყავის მძრობელი მეფურგონენი, რომლებიც „ჩეთვერი" შეშის გადმოზიდვისათვის მოქალაქეებს კუდის რიკამდე აძრობენ ტყავს.

გოდორი

მერიკოს (აქვე) იწერებით

„სატრფომ დამღუპა, დამტოვა
საქმე რამ მიყო ავია,
შენ მომეშველე ტარტაროზ,
უნდა მოვიკლა თავია.
როცა მზე ჩავა, ქნათობი,
მაშინ გამოვალ კარშია,
წავალ და ვერის ხიდიდან
გადავარდები მტკვარშია".

მოასწარით, სანამ თბილი დარებია, [illegible] ვუა მაშინ მუზაც დაგიობლდებათ და ჩვენი სარედაქციო გოდორიც!

ბიტოს (აქვე) მივიღეთ თქვენი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

„უნივერსეტში მე არ მიმიღეს;
დანა გამირჭვეს საბრალოს ყელსა
თვითონ მიხვდები, ტარტაროზ, აწ
თუ რა ხელობას მოვკიდებ ხელსა".

რას გვემუქრებით ამხანაგო! პოეტობა უკვე დაგიწყიათ და სხვა რაღა შეგიძლიათ შიიაშინებს?!

ხონელს (ქ. ხონი): თქვენს გალექსილ „ხონის ამბებში" ვკითხულობთ:

„რკინეულის მაღაზიას
ყავს კოხტა ქალი მოლარეთ,
თუმცა იგი ლამაზია,
მაგრამ მუშტარს ხვდება მყრალეთ".

არც თქვენი ლექსის სხვა ადგილებშია ამაზე უფრო სურნელოვანი. „იასნო დელშე"...

ანდროს (ფოთი) ჯერ-ჯერობით თქვენი ლექსის ნაწყვეტებს აქვე ვათავსებთ. თუ უკეთ დაამუშავებთ, დაგაწინაურებთ და ცალკე გაუშვებთ.

სტეფანოვის სიმღერა

„მყავდა მეგობრათ მე ბოკერია,
მთავარსარდალი ბანდიტურ ფლოტის,
და მენშევიკურ დროის სიმწარეს
მან აზიარა საწყალი ფოთი.
მაგრამ რას იზამ? უკუღმართია,
ცხოვრების ძალთა მრუდე ტრიალი,
ბოღმის სანთელი სულში ანთია,
და ავ-ფიქრების მაკრთობს რიალი.
სამსახურიდან მიკრეს პანღური,
„შავრაზმელი და თუქსუზი ბარო",
მაჭამეს პრასა და ნიახური
(დროვ! გაფრენილო.,, დაუვიწყარო).
დღეს ტაძარში ვარ, ღმერთს ვევედრები.
„ღმერთო ვიწვები ანთებულ კირზე"
და უნუგეშო ჩემი ცრემლები
ბულბულებივით დამსხდარან ცხვირზე.

დილიკაურელს (ზესტაფონი) იწერებით: აქაურ რკინის გზის შრომის სკოლის გალობის მასწავლებელი მოწაფეებს სცემსო.

მე კაი კაცო, ჯერ სამოსწავლო წელი თითქმის არც კი დაწყებულა და ცემა-ტყეპით როგორ დაიწყებს პედაგოგი გაკვეთილის უვერტიურას? სიცრუე უნდა იყოს. თუ მართალია, მაშინ მასწავლებელს ალბად ექავება ხელები, და არა მარტო ხელები!...

Ք 345
1930
სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Грашвили

— რად მიგაქვს ეგ საქონელი ამხანაგო?
— ისე.. შენსავით!... მომარაგების კამპანიაა და მეც ვიმარაგებ.

რედაქტ.: სარედაქციო კოლეგია, გაზ. „მუშა“-ს გამოცემა მთავ. № 1810